ირინე საგანელიძე

ეთნოკულტურის პოლიტიკის განვითარება XXI საუკუნის დასაწყისში

სახელმწიფო მიდგომები და ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისოდ დეკლარირებული და დოკუმენტირებული პოზიციის შემუშავება, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით ეთნოკულტურის პოლიტიკის საჭიროების აღიარება უკავშირდება სხვადასხვა ისტორიული პროცესის, განსაკუთრებით, კაცობრიობისათვის მეორე მსოფლიო ომის სავალალო შედეგების გადააზრებას. კულტურის პოლიტიკის პოლიასპექტურობიდან გამომდინარე, ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ სახელმწიფო მიდგომის შემუშავება ურთულესი პროცესია, რასაც უფრო ართულებს საქართველოს მულტიკულტურული რეალობა. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო გამოცდილების კვალად, XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში უკვე გამოიკვეთა მცირე ეთნოსთა კულტურის უფლებადამცავი პოლიტიკის არსებითი ორიენტირები დოკუმენტირებული სახელმწიფო მიდგომისა და მისი იმპლემენტაციისთვის სახელმწიფოს მიერვე მხარდაჭერილი არაერთფეროვანი, კომპლექსური ღონისძიებების სახით. 2004-2008 წლებში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში განხორციელდა ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერა 11 ეთნოკულტურული ორგანიზაციის ბაზაზე (თბილისის სომხური, აზერბაიჯანული და რუსული სახელმწიფო თეატრები; საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმები; „კავკასიური სახლი”, პერიოდულად, „რუსული კულტურის ცენტრი”, „უკრაინელთა ასოციაცია”, გაზეთები: „ვრასტანი”, „გურჯისტანი”, „სვობოდნაია გრუზია”). 2004-2009 წლებში კი საგრძნობია ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფო კულტურული ინსტიტუციების, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციების დაფინანსების ზრდის ტენდენცია, რაც პირდაპირპროპორციულად გამოიხატა სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან მცირე ეთნოსთა კულტურის მხარდამჭერ ღონისძიებათა ზრდაში. 2009 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობა-

თა კულტურის ხელშეწყობის პროგრამა, რომელმაც მსგავსი ფუნქციის სხვა პროგრამებთან ერთად განახორციელა ეროვნულ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარების, პოპულარიზაციის, თვითგამოხატვისა და ქართულ სივრცეში მათი შემდგომი ინტეგრირების მხარდამჭერი ღონისძიებანი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი, ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების ადგილებში. XXI საუკუნის დასაწყისის ეთნოკულტურული მიდგომის დოკუმენტურად ილუსტრირებისათვის მნიშვნელოვანია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩოკონვენციის შესაბამისად 2009 წელს შემუშავებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, რომელიც, ეთნიკურ უმცირესობათა ზოგად უფლებებთან ერთად, უზრუნველყოფს მათი კულტურული უფლებების დაცვისათვის აუცილებელ პრიორიტეტთა, ასევე მათი რეალიზებისათვის აუცილებელ ძირითად ქმედება- ღონისძიებათა განსაზღვრასა და მონიტორინგს.

XXI საუკუნეში არსებული ეთნოკულტურის პოლიტიკის ორიენტირებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ კოორდინირებული ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდამჭერ არაერთფეროვან და კომპლექსურ ქმედებათა დემონსტრირება, მათი ხარვეზების და ნაკლოვანებების შედარებით არასისტემური ხასიათის მიუხედავად, გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ისინი მივიჩნიოთ წინაპირობად, ბაზისად იმისა, რომ 2009-2019 წლებში მოხერხდა ეთნოკულტურული საკითხების იმპლემენტაცია და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავდა ეთნოკულტურის უფრო სისტემატიზებული პოლიტიკა. შედეგად, სახელმწიფოს დღეს აქვს საერთაშორისო ვალდებულებების ამსახველი დოკუმენტებით გამყარებული და თანამედროვე მოთხოვნებს მორგებული ეთნოკულტურის პოლიტიკური კურსი, რომელიც, საერთოდ, ეთნოკულტურის პოლიტიკის არამდგრადი, ცვალებადი ხასიათის გამო, შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას მაინც საჭიროებს.

Irine Saganelidze

THE DEVELOPMENT OF ETHNIC POLITICS IN THE BEGINNING OF THE 21ST CENTURY

STATE APPROACHES AND MEASURES

Drawing out of international declarative and documented attitude of human protection, among which is defense of ethnic minorities' ethno-cultural policy, is connected with various historical processes, especially with rethinking of regrettable results of the World War II. Resulting from the policy of cultural politics, drawing out methods of approach to ethnic minorities is a very knotty process that is complicated by the multicultural reality of Georgia. In spite of this, in accordance with the international experience, in the beginning of the 21st century essential indicators of the defensive policy of ethnic minorities' cultural rights were already shown off in the form of documented state methods of approach and state-maintained complex efforts.

In 2004-2008, Georgian legislation (concerning "Georgian state's budget") defined and realized ethnic minorities supporting by intra allocation of budget on the base of eleven ethno-cultural organizations (Armenian, Azerbaijan and state theatres in Tbilisi, Georgian museums of Jewish and Azerbaijan culture, "Caucasian House", "Ukrainian Association". The newspapers "Vrastan", "Gurjistan", "Svobodnaya Gazeta").

In 2004-2008, there was a growing trend of funding for state institutions of national minorities, as well as other organizations. Georgian Ministry of Culture worked out the supportive assistance program for ethnic minorities. The program, together with other projects, put into practice backing measures for protection, development, popularization and for the further integration of ethnic minorities into the Georgian space, especially in the compactly settled areas.

The documentary illustration of the ethno-cultural methods in the beginning of the 21st century, the conception and the effective plan elaborated in 2009, corresponding to the demands of The European Convention in order to protect ethnic minorities is of utmost importance. This significant plan provides general rights and priorities for defense of ethnic minorities' cultural security. It also defines monitoring of the main actions and measures for the realization.

Demonstrating of the existed in the 21st century indicators of the ethno-cultural policy and showing of coordinated actions of the state organizations for defense her-

itage of ethnic minorities, in spite of unsystematic character, allows us to consider them to be the preconditions of 2009-2019 years implementations of the ethno-cultural questions. Besides, taking into account the international experience, the more assorted of policy of the ethno-culture has been worked out. As a result, the Georgian state today has the policy which is backed by documents and is adapted to modern requirements. The ethno-cultural policy on account of unstable and changeable character, however, needs further improvement and development.

ქეთევან სამადაშვილი

გასაბჭოებული პოეზია იოსებ გრიშაშვილის კრებულ „ახალი ლექსების“ მიხედვით

ძველი თბილისის მეხოტბე იოსებ გრიშაშვილი იძულებული იყო, საკუთარი შემოქმედება გაეღო ხარკად, რათა საბჭოთა ცენზურის პირობებში აერჩიათ ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, შემდეგ კი რესპუბლიკის სახალხო პოეტის საპატიო წოდება მიენიჭებინათ.

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედება პირობითად ორ ნაწილად იყოფა. პირველი პერიოდი მოიცავს ქალაქური ყოფის ამსახველ სურათებსა და სატრფიალო მოტივებს. მეორე პერიოდის დასაწყისი წინ უძღვის საქართველოს იძულებით გასაბჭოებას და, ბუნებრივია, წინა პლანზე იწევს სამოქალაქო მოტივები.

ნაშრომში განხილულია, პირობითად, მეორე პერიოდის, გასაბჭოებული ლირიკის ნიმუშები იოსებ გრიშაშვილის ერთი კრებულიდან, რომლის სახელწოდება ზედმიწევნით ლაკონიური და სიმბოლურია – „ახალი ლექსები.“ წიგნში თავმოყრილია დროებას მორგებული, საბჭოთა „კიტელის“ თარგზე მოჭრილი 1934-1939 წლებში შექმნილი 19 ლექსი.

თემატიკა მრავალფეროვანი, ძირითადად, მიძღვნითი ხასიათისაა. ავტორი თამამად არღვევს დამკვიდრებულ წესს და „წერილს ბელადისადმი“ რიგითობით მხოლოდ მესამე ადგილზე ათავსებს, პირველზე კი უცვლელად „თბილისია“, უკვე საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქი, სრულიად რომ განსხვავდება საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობის პირველ წელს გამოცემულ ლექსში, „ტრიოლეტები შეითანბაზარში,“ დახატული თბილისისაგან.